რედაქცია

გარნოვის ქუჩაზე, სტ. მელიქიშვილის სტამბაში, ამატუნის სახლებში.

ხელის-მოწერა

რედაქციაში და სტ. მელიქიშვილის სტამბაში. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ контору редакціи газеты „*Дроэба*“, при типографіи Меликова.

გაზეთის ფასი

წელიწადში — 8 მან., ნახევარ წელიწადში — 4 მან. და 50 კაპ., თვეში — 1 მან. ცალკე ნომერი — ერთი შაური.

# დროება

გამოდის კვირაობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით

განცხადება

მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და ფრანცუზულს ენებზე.

განცხადების ფასი

დიდი ასოებით, ასოზე — 1 კაპ., ასო-მთავრულის სტრიქონზე — 8 კაპ., ციცეროთი, სტრიქონზე — 5 კაპ, და პეტიტით — 4 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებ- და შეამოკლებს გამოგზავნილ სტატიებსა. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

სული-წმინდის მოფენის დღესასწაულის გამო, დღეს მხოლოთ ნახევარი ნომერი გამოდის „დროებისა“.

---

# ტელეგრამმები

### ბრძოლის ველიდამ

**ზ უ გ დ ი დ ი, 15 მაისს.** ღენერალ კრავჩენკოს ატრიადი თოფის გაუსროლელად ამ თვის 12-ს ოლგინსკიდამ წებელდას გადავიდა, 13-ს წავიდა ამტკიალოს. დაჭრილები ნაას გადაიყვანეს. ატრიადი მხნეთ არის.

სოხუმში გამოვიდა ოსმალეთის ქვეითა ჯარი და არტილერია.

**ო ზ უ რ გ ე თ ი, 15 მაისს.** ქობულეთის ატრიადი აკეთებს ტყეში გზას, მდ. კონტრიშამდინ უკვე გაიყვანეს 45 ვერსი, მაგრამ სამის დღის განმავალობაში წვიმები იყო და მალიან გააფუჭა ეს გზა.

**ე კ ა ტ ე რ ი ნ ო დ ა რ ი, 14 მაისს.** ადლერთან 3,000 კაცი ოსმალოს ჯარი გამოვიდა ხმელეთზე. იმშეტაკების დროს, რომელიც 10 მაისს ჩვენ გვქონდა ამ ჯართან, ჩვენის მხრით 13 მოჰკლეს და 7 დასჭრეს. ჩვენი ჯარი ადლერიდამ გამოვიდა და სოჩას დაბანაკდა. სოჩის მცხოვრებლები ტუაპსეს გადავიდნენ. ჩვენს შავი ზღვის ატრიადს ახალი ჯარები მიემატა.

**ზ უ გ დ ი დ ი, 15 მაისს.** 10 მაისს აკაფის მთებში რომ აფხაზებთან შეტაკება გვქონდა, ამ დროს ჩვენის მხრით ორი აფიცერი მოჰკლეს და ოცი სალდათი, დაჭრილია 31 სალდათი და 1 აფიცერი. მტერს დიდი ზარალი მივეცით მთის არტილლერიით.

**ქ უ რ უ კ-დ ა რ ა, 13 მაისს.** არტაანიდამ გაქცეულ ფაშას ჩხუბი მოუვიდა შავშეთში თავის ხელქვეითებთან და ის და 700 კაცი ბათუმს წავიდნენ; დანარჩენი მცხოვრებლები კი თავიანთ შინ დაბრუნდნენ.

**ს ტ ა მ ბ ო ლ ი, 13 მაისს.** სტამბოლის სტუდენტებმა (სუფტებმა) საშინელი არეულობა მოახდინეს აქ, შეცვივდნენ დეპუტატების პალატაში და გამოაცხადეს, რომ ახლანდელი სამხედრო მინისტრი რედიფ-ფაშა გამოსცვალონ, რომ ოსმალეთი შემდეგში მაინც ასცდეს იმისთანა უბედურებას, როგორიც არტაანის აღება არისო.

თოფ-იარაღის ტარება აღკრძალულია, აგრეთვე ხალხის შეგროვება ქუჩებში.

**ს ტ ა მ ბ ო ლ ი, 14 მაისს.** აქ რევოლიუცია არის. უთვალავი ხალხი შეგროვდა სასახლის წინ და მიტჰხად-ფაშის დაბრუნებას თხოულობდა. ხონთქარი ქალაქს გარეთ გაიქცა და იქ ერთს თავის სასახლეშია დამალული. აჯანყებულების დასამშვიდებლად ჯარები გამოიყვანეს; თოფის სროლა იყო ქუჩებში; ბევრი დაჭრილია, ბევრიც დაიხოცა.

---

# ომის ამბები

უმთავრესი ბანაკი ლორის-მელიქოვის (ალექსანდრაპოლის) კორპუსისა ამ ჟამად, როგორც მოგეხსენებათ, ზაიმშია, რომელიც მდებარეებს ყარსიდამ 20 ვერსზე სამხრეთისაკენ, ყარს-ჩაის მდინარის მარცხენა ნაპირზე. ამ ადგილის არჩევას ის მნიშვნელობა აქვს, რომ აქ გადის ყარსის დიდი გზა ახალქალაქის, არტაანისა და ბათუმისაკენ. ამნაირად არტაანიც რომ არ აეღო ჩვენ ჯარს, ყარსისა და ბათუმის შემაერთებელი გზები მაინც შეკრული ექნებოდათ და ოსმალოები ბათუმიდამ დასახმარებელ ჯარებსა და სამხედრო სურსათს ვერ მიაწვდიდნენ ყარსში და საზოგადოთ აქეთკენ დაბანაკებულ თავის ჯარებსა.

—

კონსტანტინოპოლიდამ ბერლინში მიღებული დეპეშა დიდის ამბითა და სიხარულით ატყობინებს ქვეყანას, რომ ჩვენმა (ე. ი. ოსმალოს) ჯარებმა სოხუმი გადასწვეს, აიღესო და ამ ქალაქში დაბანაკებული რუსის ჯარი ამოვსწყვიტეთო. ამავე ტელეგრამმაში იწერებიან, რომ აფხაზები ოსმალოს ჯარში ჩადგნენ და იმათ რაზმში ერთად ებრძვიან რუსებსაო.

ერთი ჯავშნიანი ხომალდი ოსმალეთისა სოხუმიდამ ბათუმს დაბრუნებულა იმ განზრახვით, რომ სოხუმში გამოსულ თავიანთ ჯარისათვის სურსათი მოიტანონ და აგრეთვე ახლად შეერთებულ აბხაზებისათვის მსწრაფლ-მსროლელი თოფები და სხვა სამხედრო იარაღი.

—

ამ დღეებში პეტერბურღიდამ მოსულს გაზეთებში შემდეგი დეპეშებია დაბეჭდილია:

**ს ტ ა მ ბ ო ლ ი, 7 მაისს.** ინგლისის ინჟენერები ამაგრებენ ვარნას, შუმლას, რუსჩუკს და სხვა დუნაის ნაპირა ციხე-ქალაქებს.

სამი ახალი ჯავშნიანი ხომალდი გაგზავნეს კიდევ აქედამ ბათუმს.

**ა თ ი ნ ა, 8 მაისს.** ხალხი ძალიან აღელვებულია, თხოულობენ რომ მმართებლობამ ოსმალს მალე ომი გამოუცხადოს. არ ვიცით — რა გადაწყვეტილებას მიიღებს საბერძნეთის მმართებლობა განსაკუთრებით ახლა, როდესაც ედინბურღის გერცოგი ინგლისის ფლოტით პირეიში დგას რასაკვირველია იმ განზრახვით, რომ საბერძნეთს არ გააბედვინოს რუსეთსა და ოსმალოს შუა ბრძოლაში მონაწილეობის მიღება.

**ლ ო ნ დ ო ნ ი, 9 მაისს.** ინგლისის ბევრი აფიცრები სტამბოლში წავიდნენ იქაურ სიმაგრეების ასაშენებლად.

—

უცხო ქვეყნის გაზეთებში იწერებიან, რომ პოლშელებსა და ვენგრიელებს ცალკე ჯარი შეუდგენიათ სტამბოლში და მალე ან დუნაიზე და ანუ ბათუმისაკენ წავლენ ოსმალოს ჯარის დასახმარებლათაო. იტალიიდამაც მისულა სტამბოლში რამდენიმე ყმაწვილი კაცი და ამავე ჯარში ჩაწერილან.

—

ეგვიპტეს პრინცი ჰასანი ამ თვის 7-ს 6,000 კაცით გამოსულა ალექსანდრიიდამ (ეგვიპტედამ) და პირდა-პირ სტამბოლს მიდის.

—

ბუხარესტიდამ (რუმინიიდამ) მიღებული დეპეშა გვაცნობებს, რომ ხალხის წარმომადგენელთა პალატას გადაუწყვეტია, რომ დღეის შემდეგ რუმინია თავისუფალია ოსმალეთის დამოკიდებულებისა და ყოველ წლიურ ხარკის ძლევისაგანო. რუსებმა დაიჭირეს ჟურჟევო. ოსმალებმა კალაფატს ზარბაზნები დაუშინეს.

—

დ. მ. კავკასიის ნამესტნიკს დუნაის ჯარის უფროსის დ. მ. ნიკოლოზ ნიკოლოზის ძისაგან დეპეშა მოუვიდა, რომ რუსის ლეიტენანტებმა დუბასოვმა და შესტაკოვმა ბრაილოვში მინებით აფეთქეს ოსმალოს ერთი მონიტორი (ჯავშნიანი ხომალდი).

—

სერბიის ოფიციალურს გაზეთში იწერებიან, რომ სერბია არ გაერევა რუსეთსა და ოსმალოს შუა ბრძოლაშიო; ამ ჟამად ჩვენ სულაც არ ვაგროვებთ ჯარსაო.

—

ერთს რუსულს გაზეთში დაბეჭდილია ოდესიდამ მიღებული კორრესპონდენცია, რომელშიაც, სხვათა შორის, იწერებიან, რომ ოდესა ამ ჟამად ისეთ ნაირად გამაგრებული არისო, რომ იმას მტრის სრულებით არ ეშინიანო; ზღვაში საფეთქი მინები არის გაყვანილი და თვით ნაპირებზე დიდრონი ზარბაზნები არიან გამართული; ასე რომ მტრის ხომალდებს არ შეუძლიანთ ახლოს მოდგომა ქალაქზე და ზარბაზნებით რაიმე ზარალის მიცემა. მაგრამ ხალხი კი განსაკუთრებით ებრაელები ძალიან შეშინდნენ თავიდამვე და ბევრი იმათგანი კიდეც გადასახლდნენ აქედამ. შესანიშნავია ის გულ-გრილობა, რომელსაც ოდესელები იჩენენ ამ ომის დროს: თითქოს ვერავის ნახავთ აღტაცებულს, არავინ არაფერს არ სწირავს ომიანობის საჭიროებისა და დაჭრილებისათვისო.

—

რუსის გაზეთებში დაბეჭდილია შემდეგი დეპეშა ვენიდამ მიღებული:

„ოსმალეთის მმართებლობამ ბრძანება მისცა თავის ესკადრების უფროსებს, რომ უმთავრესი ყურადღება იმათ კავკასიაში დასახლებულ მაჰმადიანების აჯანყებას მიაქციონ. პორტას განზრახვა აქვს, რომ ანატოლიიდამ კავკასიაში გაგზავნოს ჩერქეზების ჯარები.“

—

ერთს ინგლისურს გაზეთში შემდეგ ცნობებს იწერებიან სოხუმის აღების თაობაზედ:

„სამი კვირის წინათ, სანამ ოსმალოები სოხუმში გამოვიდოდნენ, სტამბოლიდამ, დამზადებულის სამხედრო პლანით, გამოგზავნეს ბათუმს ხუთი მოთავე კაცი ჩერქეზებისა. ესენი ბათუმიდამ ხუთი ჯავშნიანი ხომალდით და ჰასან-ფაშის ჯარით 1 მაისს მიადგნენ სოხუმს. იმ წამსვე გავიდნენ ხმელეთზე, თან ცოტაოდენი ჯარი გაიყვანეს და 600 თოფი და სხვა იარაღიც გაიტანეს, რომელიც დაურიგეს იმ ჩერქეზებს, რომელნიც იმათ სოხუმის მაზრაში მიემხრნენ; რამდენიმე დღის განმავალობაში ამ ხუთ კაცმა 3,000 კაცი აჯანყებული ჩერქეზები მოაგროვეს. მაშინ ჰასან-ფაშამ გამოიყვანა ნაპირზე კიდევ რამდენიმე ასი კაცი ოსმალოები, ქურთები, ჩეჩნები და ლაზები. ყველა ეს ჯარი ერთად დაეცა სოხუმს; იმ დროსვე ზღვიდამ ოსმალეთის ხომალდებიდამ დაუშინეს ქალაქს ყუმბარები და ამ ნაირად მოკლე ხნის განმავალობაში

ოსმალომ აიღო სოხუმი, თუმცა იქ დაყენებული რუსის ჯარი მარჯვეთ წინააღმდეგობას უჩენდა მტერს. ამის შემდეგ ჰასსან-ფაშამ კიდევ გაუგზავნა აჯანყებულ მცხოვრებლებს ახალი თოფ-იარაღი და სურსათი.“

# საქართველო

## დღიური

⁂ მოგვყავს სია იმ ჩვენი მხრის აფიცრებისა, რომელნიც სხვათა შორის მოკლულნი და ან დახოცილნი იყვნენ 5 მაისს არტაანის აღების დროს. მოჰკლეს: ბაქოს პოლკის პოდპორუჩიკი მ უ ს ხ ე ლ ო ვ ი; დაჭრილი არიან: თბილ. პოლკის პოდპორუჩიკი ა ბ ე ლ ო ვ ი (მსუბუქად ფეხში), ბაქოს პოლკის შტ.-კაპ. ქ ვ ა ლ ი ე ვ ი (მძიმედ ფეხში) და პოდპორ. ჩ ი ჩ უ ა (მსუბუქად ფეხში), ელისავეტოპოლის-მაიორი მ ა ყ ა შ ვ ი ლ ი (მსუბუქად), პრაპორჩიკი ა რ დ ა შ ვ ი ლ ი (მსუბუქად გვერდში) და პორუჩიკი მ ა რ დ ა ნ ა შ ვ ი ლ ი.

⁂ რუსულს გაზეთს „ახალს დროებაში“ შემდეგი ცნობებია დაბეჭდილი ჩეჩნების არეულობაზედ:

„არეულობა მთიულებში დაიწყო იმ დღიდამ, რა დღესაც აქედამ ღენერალი ზეიმანი წავიდა, რომელსაც აქაურ ხალხზე დიდი გავლენა ჰქონდა.

„აპრილის შუა რიცხვებში, ასავიურთის მაზრაში ჩეჩნებმა გარეკეს ყაზახების პირუტყვი. ამათ გამოედევნენ და მოტაცული საქონელი წაართვეს. ამბობდნენ, რომ ამდროს მთიულებმა რამდონიმე ყაზახის ოჯახი ამოსწყვიტესო. 25 აპრილს ვლადიკავკაზში დაყენებულს ჩვენს ჯარს, რომელიც 300 კაცისასაგან იყო შემდგარი, დაეცა 3,000 ჩეჩნის ჯარი, რომელიც უბრალო ძველებური თოთოფებით იყო დაიარაღებული. ჩვენებმა გაჰფანტეს ისინი. როგორც ეტყობა, ამ არეულობას ჯერ-ჯერობით ფანატიკური (სარწმუნოებრივი) ხასიათი არა აქვს. მთიულებს მწვანე ჰაზავატის დროშები არა ჰქონიათ.“

⁂ ამ თვის 13-ს თფილისში ჩამოიყვანეს ალექსანდროპოლიდამ 96 დატყვევებული ოსმალო, რომლებშიაც 7 აფიცერი ერია. ჯერ-ჯერობით, სანამ რუსეთის შინაგან გუბერნიებში გაგზავნიდნენ, ეს ტყვეები ჰვლაბრის ყაზარმებში არიან.

⁂ თფილისის სავაჭრო ბანკმა 1000 მანეთი წარუდგინა დ. მ. კავკასიის ნამესტნიკს ჩვენში დაყენებულ ჯარების სამხედრო საჭიროებისათვის მოსახმარებლად.

⁂ ამ გასულ ორშაფათს რომ „სახალხო სეირნობა“ იყო დანიშნული, წითელი ჯვარის საზოგადოების სასარგებლოთ, ცუდის ამინდის გამოისობით ვერ მოხერხდა; ეს „სეირნობა“ შაბათს იქნება.

# უცხო ქვეყნები

## გერმანია

საფრანგეთში ახალი კლერიკალური სამინისტროს დადგენამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა გერმანიაში. ამბობენ(?) — გაუგია თუ არა ეს ამბავი გერმანიის იმპერატორს, იმწამსვე თ. ბისმარკი მოუხმია ბერლინში, დაუნიშნავს მინისტრების სხდომა და ულაპარაკნიათ მხოლოთ იმ შედეგებზე, რომელიც ექნება ამ კლერიკალურ პარტიის გამარჯვებას საფრანგეთისა და გერმანიის ერთმანეთთან დამოკიდებულებაზედ. ამბობენ აგრეთვე, რომ ამ უკანასკნელ დღეებში, გერმანიას, და იტალიას შუა გაცხარებული მიწერ-მოწერა და დეპეშების გზავნა არისო.

## საფრანგეთი

მაკ-მაჰონმა ძველი, ჟულ სიმონის სამინისტრო დაითხოვა და მაგიერად ახალი შეადგინა—ბროჰლისა. მაგრამ, რადგან ამ ახალს სამინისტროს ნაციონალურს კრებაში უმრავლესობა არ ეყოლება, ამის გამო მაკ-მაჰონი იძულებული იქნება მოიქცეს ისე, როგორც 1875 წლის 25 თებერვალს კონსტიტუცია თხოულობს.

მეორე მუხლში ამ კონსტიტუციისა სწერია: „რესპუბლიკის პრეზიდენტს შეუძლიან პალატების სხდომა გადადვას მხოლოთ ერთის თვის ვადით და წელიწადში მხოლოთ ერთხელ. “მუხლი მეხუთე: “რესპუბლიკის პრეზიდენტს შეუძლიან, სენატთან დათანხმებით, შესსისი ვადის გათავებამდინ დაითხოვოს ნაციონალური კრება; ამ შემთხვევაში ახალი ამორჩევები, უეჭველია, სამის თვის განმავალობაში უნდა მოხდეს.“

# განცხადებანი

## ქალაქის გამგეობისაგან

### თფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ, ქალაქის რჩევის დადგინების საფუძვლის ძალით, ქალაქის გამგეობის თანდასწრებით, ამ წლის მაისის 19-ს დანიშნულია პირველი და უკანასკნელი ვაჭრობა საქონლისა და სხვა რამეების გადამტან-გადმომტანი ურმებისა, ტაჩკებისა და სხვ. იჯარით აღებაზედ (сборъ съ извознаго промысла). ვისაც ჰსურს, რომ ამ ვაჭრობაში მონაწილეობა მიიღოს, უნდა გამოცხადდეს ქალაქის გამგეობაში კანონიერის გირაოთი, რომელიც საიჯარო ფულის წლიურის შემოსავალის 20% უნდა უდრიდეს; გირაო უნდა იყოს ან ნაღდი ფული, ან ბანკის ბილითები და ანუ სხვა რაიმე სარგებლიანი ქაღალდები.

განცხადება ამ ვაჭრობაში მონაწილეობის მიღებაზე მსურელმა ან სიტყვიერად უნდა შეიტანოს ქალაქის გამგეობაში და ანუ დაბეჭდილის კონვერტით ნაშუადღევის 2 საათამდინ.

# „კეკეთი“

ამ დღეებში გაიხსნა სარძეო სარდაფი „კეკეთი“, სადაც ყოველ დღე ისყიდება: კ ა რ ა ქ ი, ნ ა ღ ე ბ ი, ს მ ე ტ ა ნ ა, ტ ვ ო რ ო გ ი, ყ ვ ე ლ ი, უ დ უ ღ ა რ ი და ა დ უ ღ ე ბ უ ლ ი რ ძ ე და მ ა წ ო ნ ი.—

ამ ზაფხულს მსურველთ კოჯორშიაც შეუძლიანთ მოითხოვონ ყველაფერი ის, რაც აქ, ქალაქის სარდაფში, ისყიდება, მხოლოდ საჭიროა, რომ დაჩნიკებმა წინ და წინ გამოაცხადონ სარძეო სარდაფში თავის სურვილი, რომ დანიშნულ დროს სახლზე მიუვიდესთ.

სარძეო სარდაფი „კეკეთი“ იმყოფება: სასახლის ქუჩაზე, მუზეუმის პირდაპირ, შაბუროვის სახლებში, სადაც უწინ ივანოვის ბიბლიოთეკა იყო. 3—2

ბეჭდვიდგან გამოვიდა და ისყიდება

მეხუთე კარი

# „ყარამანიანი“

სოლოლაკზე ს. გ. მელიქიშვილის სტამბაში; პუკის ხიდზედ ვართანოვის საწიგნო მაღაზიაში.

ფასი 40 კაპ.

## კავკასიის საბებიო ინსტიტუტი

მშობიარე ქალები მიიღებიან ყოველთვის დღე და ღამე, ფასი დღეში 50 კაპ., ღარიბები უფასოთ მიიღებიან.

ცალკე ოთახების ქირა თვეში 30—50 მანეთამდის არის.

მიღება ავათმყოფი ქალებისა და ყმაწვილების.

ქალის ავათმყოფობისათვის:

ყოველ დღე, კვირას გარდა, 10 საათიდამ 11 მდინ—დოქტორი ანანოვი.

ოთხშაბათობითა და შაბათობით 12 საათიდამ 1-მდინ—დოქტორი რემერტი.

სამშაბათობით და შაბათობით 11-დამ 12-მდინ—დოქტორი ალბანუსი.

საყმაწვილო ავათმყოფობისთვის.

ხუთშაბათობით 11 საათიდამ 12-მდინ და კვირაობით 10-დამ 11-მდი—დოქტორი უშაკოვი.

შაბათობით 12 საათზე რჩევაა დოქტორებისა: რემერტის, ალბანუსის და ანანოვის.

ინსტიტუტთან ახლად გაიხსნა განყოფილება, რომელშიაც საქალებო ავათმყოფობას არჩენენ. ამ განყოფილების საზოგადოთახში ავათმყოფთა უნდა აძლიონ დღეში—50 კაპ. ცალკე ოთახებში კი დღეში—1 მანეთი.

## თფილისის სამკურნალო

(4 აპრილის სახსოვრად)

ერევნის მოედანზე, წინამძღვაროვის სახლებში.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე, კვირას გარდა, დილის 8 საათიდამ დილისვე 10 საათამდინ.

ო რ შ ა ბ ა თ ს: ექიმი მინკიევიჩი—ხირურგიულ ავათმყოფობისათვის, ბარალევიჩი და ლისიცივი—შინაგანი ავათმყოფობისათვის.

ს ა მ შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი და მარკაროვი—შინაგანი ავათმყოფობისათვის, თამამშევი—თვალის ექიმი.

ო თ ხ შ ა ბ ა თ ს: ლისიცევი—შიაგანი ავათმყოფ., ქიუჩარიანცი—ვენერიული ავათმყოფობისათვის.

ხ უ თ შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი შინაგან ავათმყოფობისათვის.

პ ა რ ა ს კ ე ვ ს: ლისიცევი და ასატუროვი—შინაგანი ავათმყოფობისათვის და მინკევიჩი—ხირურგიულისთვის.

შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი და მარკაროვი—შინაგანი ავათმყოფი. ქიუჩარიანცი—ყურის და ხირურგიულ ავათმყოფობისათვის და თამამშევი—თვალის ავათმყოფობისა.

| რკ. გზა. | დილა. | | სალამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თფილისი . | 9 | 21 | 5 | 18 | | | | |
| მცხეთა. . . | 10 | 11 | 6 | 27 | - | 68 | - | 38 |
| გორი . . | 11 | 58 | 9 | 43 | 2 | 40 | 1 | 23 |
| ხაშური . . | 1 | 29 | 11 | 57 | 3 | 92 | 2 | 18 |
| სურამი. . . | 1 | 44 | | | 4 | 42 | 2 | 46 |
| ყვირილა . | 5 | 49 | | | 5 | 81 | 3 | 23 |
| რიონი. . . | 6 | 47 | | | 6 | 75 | 3 | 75 |
| სამტრედია . | 7 | 41 | | | 7 | 73 | 4 | 29 |
| ახ.-სენაკი . | — | — | | | 8 | 57 | 4 | 76 |
| ფოთი. . . | 9 | 40 | | | 9 | 75 | 5 | 42 |
| ფოთი . . | 9 | 13 | | | | | | |
| ახ.-სენაკი. | — | — | | | 1 | 18 | - | 66 |
| სამტრედია. | 11 | 16 | | | 2 | 6 | 1 | 14 |
| რიონი . . | 12 | 13 | | | 3 | 4 | 1 | 69 |
| ყვირილა. . | 1 | 18 | ღამე | | 3 | 98 | 2 | 21 |
| სურამი. . . | 5 | 12 | 1 | 10 | 5 | 33 | 2 | 96 |
| ხაშური . . | 5 | 39 | 1 | 37 | 5 | 84 | 3 | 24 |
| გორი . . | 7 | 5 | 4 | 8 | 7 | 36 | 4 | 9 |
| მცხეთა . | 8 | 50 | 6 | 59 | 9 | 8 | 5 | 4 |
| თფილისი . | 9 | 31 | 7 | 56 | 9 | 75 | 5 | 42 |

## ცეცხლის გემები

ა) ფოთიდამ მიდის:

ოდესისკენ—ხუთშაბათს დილით.

სტამბოლს—კვირაობით, დილას.

ბ) ოდესსიდამ:

ფოთისკენ—ხუთშაბ., ნასადილ. 3 საათ.

სტამბოლს—ოთხშაბათს, შუადღეზე

| ფოთიდამ: | I | | II | | III | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სოხუმამდი . | 4 | „ | 3 | „ | 1 | „ |
| ქერჩამდი. . | 20 | 50 | 15 | 50 | 5 | „ |
| ტაგანროგ. | 34 | „ | 27 | „ | 8 | 60 |
| ოდესსამდი. | 38 | „ | 30 | „ | 9 | 60 |

| ტელეგრაფი | მ. | კაპ |
|---|---|---|
| ოცი სიტყვა თფილისიდამ: | | |
| ქუთაისს, ფოთს . . | 1 | — |
| გორს, დუშეთს, სიღნახს | | 50 |
| როსტოვს ოდესას მოსკოვს | 2 | — |
| პეტერბურგს, ვარშავას . . | 2 | — |
| ოსმალეთში, შვეიცარიაში | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში. | 3 | 50 |
| ინგლისში. . . . . . | 3 | 75 |

## ფოშტა

ა) თ ფ ი ლ ი ს ი დ ა მ:

სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ოთხშ., ოზურგეთს—პარასკ და ორშაბ. ბაქოს—ორშ. სამშაფ. და შაბ. კახეთს—სამშ. და შაბ.

ბ) ქ უ თ ა ი ს ი დ ა მ:

თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ. ზუგდიდს—ოთხშაბ.

გ) გ ო რ ი დ ა მ.

ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

დ) ფ ო თ ი დ ა მ:

ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ: | კაპ |
|---|---|
| ღია წიგნის . . . . . . . | 4 |
| დაბეჭდილის (სამი მისხალი) . | 8 |

| ბირჟა | მან. | კაპ |
|---|---|---|
| პეტერბურგი, 11 მაისს | | |
| ერთი მანეთი ღირს: | | |
| ლონდონში $3\frac{1}{2}$ პენსი. | — | 78 |
| პარიჟში 269 სანტიმი. | — | 81 |
| ესკონტი (სარგებლისფასი) | $7\frac{1}{2}$ | — |
| ბანკის ბილეთი 5% | 96 | — |
| მოგებიანი (პირველისესხი) | 191 | |
| მოგებიანი (მეორე სესხი) | 185 | — |
| გირაოს ფურცლები: | | |
| თფილ. სააზნ. ბანკისა. | — | — |
| ხერსონის ბანკის ($5\frac{1}{2}$) | 81 | — |
| მოსკოვის (5%). . . | 90 | 50 |
| აქციები: | | |
| ოდესის სავაჭრო ბანკის | 158 | — |
| ფოთი-თფილ. რკინ. გზის | — | — |
| შავი ზღვის ცეცხ. გემების | 465 | — |
| კავკაზის და მერკურის. . | 202 | — |
| პირვ. საზღვევ. საზოგ. | 715 | 50 |
| პეტერბ. საზღვევ. საზ. | 235 | 50 |
| მოსკოვის საზღვევ. საზ. | 265 | — |

| მაზანდა | მან | კაპ |
|---|---|---|
| თფილისი, 17 მაისს | | |
| პური შორაგალის ფთ. | 1 | 80 |
| ქერი ფუთი. . . . | — | 95 |
| ბამბა ერევნისა, ფუთი . | 5 | 60 |
| —ამერიკისა, ფუთი. . | 6 | 20 |
| გაპენტილი ბამბა ფთ. | 7 | — |
| მატყლი თუშური ფთ . | 6 | 70 |
| —თარაქამისა ფთ. . | 4 | — |
| აბრეშუმი ნუხური სტ. | 3 | — |
| ქონი, ფუთი. . . | 4 | — |
| ქონის სანთელი ფუთი. | 5 | — |
| სტეარინის სანთელი, ფ. | 11 | 60 |
| ხორცი ძროხისა, ლიტ. | — | 90 |
| —ცხვრისა, ლიტრა. . | — | 90 |
| სპირტი, ვედრო. . . | 8 | — |
| შაქარი, ბროც. ფუთი . | 8 | 50 |
| —ფხვნილი ფუთი . . | 5 | 40 |
| ყავა გრგვალი, ფუთი | 20 | — |
| ზეთი ქუნჯუთისა ფთ. | 5 | 30 |
| ოქრო ½ იმპერიალი. . | 7 | 65 |

Дозволено цензурою. Тифлисъ, 18 Мая 1877 г. Типографія Меликова გამომცემელი ს. მელიქიშვილი რედაქტორი ს. მესხი.